საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი მაისი 6
1921 წ.
№ 54
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
სამღუქნიშვილი ქუჩის ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 3000 მან.

ღრმად დამწუხრებულნი და უდროოდ გაუბედურებულნი დედ-მამა ალექსანდრა ანდრიას ასული და ივანე ნიკოლოზის ძე სვანიძენი ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ამა წლის მარტის 13-ს აჟჭალის გზაზე ტრაგიკულად დაღუპულ შოფერ სტუდენტ

**დათიკოს (დავით) ივანეს ძე სვანიძის**

სულის მოსახსენებლად შაბათს, მაისის 7-ს დიდუბის ეკლესიის ტაძარში გადახდილი იქნეს—ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი წირვა დაიწყობა 10 საათზე მხოლოდ პანაშვიდი 12 ს. 939

ღრმად დამწუხრებულნი და ხინო ივანეს ასული და არჩილ იაკობის ძე გოზალოვები ქალით ლიდათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ მათი საყვარელი ძმის

**დათიკო სვანიძეს**

სულის მოსახსენებლად ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს, მაისის 7-ს დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 ს. პანაშვიდი 12 საათზე. 939

ოლღა ივანეს ასული და სერგო პეტრეს ძე ბედიანიძეები შვილით ვანიკოთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი ძმის

**დათიკო სვანიძეს**

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება მაისის 7 დიდუბის ეკლესიაში' წირვის დასაწყისი 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე. 939

1921 წ. მაისის 8 ს, სრულდება ექვსი თვე იმ ხიდიდან, რაც ტფილისში გარდაიცვალა ვლადიმერ ესტატეს ძე შატბერაშვილი. მეუღლე მათი მარიამ სიმონ ყიფიანის ასული, შატბერაშვილისა, გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა, რომ კვირას მაისის 8-ს, ტფილისში ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**ვლადიმერ შატბერაშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილით 10 საათზე. 23

გულდამწუხრებული დედა, მართა ალექსის ასული, შვილები: ანდრია, ალექსი თამარი და დარო თოფაძეები აუწყებენ თავის ნათესავებს და ამხანაგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მაისის 5-ს მეორე გიმნაზიის მე 4 კლასის მოწაფე

**კოლია (ნიკოლოზ) ლაზარეს ძე თოფაძე**

დასაფლავება მოხდება შაბათს, დილის 10 ს. მაისის 7 წმ. ნინოს სასაფლაოზე პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. 642

ამხანაგები: გიორგი მეუღლე მარიამ ბატიკის ასულით, ივანე მეუღლე ვერა თედორის ასულით ვასო მეუღლე ალექსანდრა ხოსროს ასულით ანდრიას ძე თოფაძეები აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს რომ მაისის 5-ს დილით მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი ძმისწული მეორე გიმნაზიის მე 4 კლასის მოწაფე

**კოლია (ნიკოლოზი) ლაზარეს ძე თოფაძე**

დასაფლავება მოხდება შაბათს, მაისის 7-ს დილ ს 10 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. 942

## ფურცლები

21.

**მუშები და საბჭოთა სახელმწ.**

მეტად მძიმე, პირდაპირ აუტანელია ეკონომიურად ჩვენი მუშების მდგომარეობა. ისევ გაისმის უკმაყოფილების ხმა როგორც პარტიულად დაინტერესებული ისე ასეთ ინტერესს გარეშე მდგომი მუშა ეკონომიური გაჭირვების ტალღას უკმაყოფილება და პროტესტს იწვევს.

უნდა ითქვას, ეს დიდი გაჭირვება მუშებისა სერიოზული საკითხია. შეუძლებელია შევინახოთ მუშათა მასსის ასეთი მდგომარეობა, მთელი ჩვენი ყურადღება, მთელი ჩვენი ენერგია, მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი უნდა ამოძრავდეს მუშათა მასსის ეკონომიურად დასაკმაყოფილებლად.

განა ვისმესთვის საჭიროა იმის მტკიცება, რომ ნორმალური გამოკვება აუცილებელი პირობაა მუშაობის ნაყოფიერობისათვის?—რასაკვირველია არა. რაც მეტი დაიხარჯება მუშებზე იმდენადვე მეტს მივიღებთ მუშებიდან, ეს პოლიტიკურ ეკონომიის ანბანია. განმტკიცება მუშაობის, განმტკიცება სახელმწიფოსი, მთელი ქვეყნის გულისყურის მოპყრობა შესაძლოა პურით, მარილით, ტანთსაცმელით, კულტურით. ცხადია ამ მხრივ უნდა სწარმოებდეს დაუღალავი მუშაობა.

ბევრი რამ ამ დარგში მოუწყობელია, ნორმალურის მინიმუმიც აღარ არსებობს დღეს, მდგომარეობა კოშმარულია, მუშებში მასიური ავადმყოფობა იკიდებს ფეხს, გაცდენილი დღეები მრავლდება, წამალი და ექიმი ჩვეულებრივი სტუმარი ხდება მუშების, სიკვდილს ცელი გვიახლოვდება.

ასეთს მძიმე პირობებში პოლიტიკური სიტყვა გაუგებარი ხდება მუშათა მასსისათვის, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ეხლავე არ მივაქციოთ ყურადღება მუშათა მასსის იდუმალი თუ გამომჟღავნებული გრძნობას და ვურჩიოთ მათ მხურვალედ ხელის შეწყობა იმ წეს-წყობილების, რომელიც ამ ჟამად მკვიდრდება საქართველოში.

მენშევიკობის დროს ჩვენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის თვალსაზრისით სასტიკად ვებრძოდით მენშევიკების ბურჟუაზიულ პოლიტიკას და იმ სისტემას, რომელსაც მენშევიკები იცავდნენ. მთელი ეკონომიური ცხოვრება და პოლიტიკა გამსჭვალული იყო ბურჟუაზიის ინტერესებით, მუშათა კლასი ბურჟუაზიის ნასუფრალით იკვებებოდა მხოლოდ და ერთს მუშას არ შეეძლო საქართველოში თავი ეგრძნო, როგორც თავის, მუშურს საქართველოში.

დღეს ძირითადი გადატეხა მოხდა მუშათა საკითხში. საქართველოს მუშათა კლასი უეჭველად ბატონია საქართველოსი. ბურჟუაზია, როგორც ასეთი, აღარ არის პატრონი საქართველოსი, ბურჟუაზიის უმთავრესი იარაღი—ბურჟუაზიული კაპიტალი, ბურჟუაზიული ბანკი, ბურჟუაზიულ სასახლეში შეადგენენ მუშების სრულს საგანძურს.

მართალია, ბურჟუაზიის გაკოტრების მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ბურჟუაზიული წარმოება სავსებით უნდა შეიცვალოს მუშური წარმოებით, ყოველი აღებ-მიცემობა უნდა გაიმსჭვალოს მუშათა და გლეხთა პრინციპებით, პროლეტარიატის ორგანიზაციებით დ ეს ტენდენცია სოციალისტური შემოქმედებისა მხოლოდ ახლა ხორციელდება ჩვენში, მხოლოდ დღეს იპყრს მუშათა კლასი ბურჟუაზიის პოზიციებს და იქმნება პირობები მთელი სიმდიდრის მუშის მიერ გამოყენებისათვის.

დღეს დიდი სიღარიბეა, მაგრამ ეს სიღარიბე შედეგია არა მუშათა საბჭოების სისტემისა, არამედ მსოფლიოს გამანადგურებელი ომისა და ევროპის რეაქციისა. ეკონომიური კეთილდღეობის შექმნა შესაძლოა მხოლოდ ომის სრული ლიკვიდაციით, რაიცა ნიშნავს ევროპის რეაქციის სრულს ლიკვიდაციას. მხოლოდ საერთაშორისო რევოლიუცია ჩაყრის თანამედროვე ეკონომიკას საფუძველს, სიმდიდრის შექმნას და მხოლოდ მუშების ხელმძღვანელობით გამოჭედილი სიმდიდრე შექმნის იმ ხელსაყრელ ეკონომიურ პირობებს, რომელსაც შენატრის მუშათა კლასი.

ევროპაში ომი გაათავეს, მაგრამ ევროპის კაპიტალისტებმა კრიზისიდან თავი ვერ დაიხსნეს. წავიდა ის დრო, როცა ბურჟუაზიის მონაწილეობა აცოცხლებდა ეკონომიურ ცხოვრებას. დღეს წარმოების აღდგენა შეუძლებელია ბურჟუაზიის მონაწილეობით, ბურჟუაზიული სულის, ბურჟუაზიულ სისტემის ნიადაგზე.

ევროპის პროლეტარიატი თან და თან მორღვევს ევროპის ბურჟუაზიულ სისტემას. ევროპის მუშათა კლასმა ძალიან კარგად იცის, რომ რევოლიუცია თავის შემდეგ ნიშნავს პურის რაციონის შემცირებას, ქრონიკულ სიმშილს, სიტიტვლეს, საერთო სიღარიბეს, მაგრამ რევოლიუციის ნარ-ეკალით დაფენილი გზას გაწმენდა სამუდამოდ მოსპობს მუშათა კლასის ისტორიულ ექსპლოატაციას, ისტორიულ ტანჯვა-წვალებას.

დღეს გარდამავალი ხანაა, დღეს არის მოთმენის, ბრძოლის პროცესი. სახელმწიფოს, ღარიბი სახელმწიფოს საქმე მუშათა ხელშია და ამ პირობების განმტკიცება, დროული ტანჯვა-შიმშილის ატანა ჩვენ მოგვიპოვებს მარადიულ თავისუფალ ეკონომიურ ცხოვრებას. ამიტომ არის, ჩვენი სიღარიბის და მუშების გაჭირვების დროს ჩვენ მუშებს ვეუბნებით: ქონებრივად ღატაკნი იყავით სულიერად მტკიცედ, იბრძოლეთ მედგრად, ვინაიდან ამ მძიმე ბრძოლას მოსდევს ბრწყინვალე სოციალისტური მომავალი.

თედო ღლონტი.

## საბჭოთა სომხეთის რევკომის თავმჯდომარე ამხ. კასიანიან

**პოლიტიკური მდგომარეობა.**

საბჭოთა სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობა მტკიცე და ურყევი ა. დაშნაკედთა ავანტიურას ბოლო მოეღო; ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრილია რაიმე ახალი კონტრრევოლიუციონერ გამოსვლების შესაძლებლობა. მართალია, ვრაციანი და ქდემი ცდილობენ ზანგეზურიდან ბრძოლის განაგრძობას, მაგრამ სომხეთის რევკომსაც მიღებული აქვს ავანტიურის სალიკვიდაციო ზომები. რევკომმა გაგზავნა ზანგეზურში დელეგაცია, რომელიც ალბად მოახერხებს ბრძოლის დაბოლოვებას. რევკომის მიერ წაყენებული პირობები ყოვლად მისაღები უნდა იყოს ვრაციანის და მის ამხანაგებისათვის. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ სომხეთის ხალხი დაადგება ამ ახლო მომავალში მშვიდობიან ცხოვრებას და აღმშენებლობის საქმიანობას, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც მთლიანად განხორციელდება ისეთი პოლიტიკა, რომელიც შეეფერება ეკონომიურ პირობებს იმისთანა ჩამორჩენილ, გლეხურ ქვეყნის, როგორიც არის სომხეთი. ამ გვარ პოლიტიკურ ზომათ უნდა ჩაითვალოს, ამ ჟამად მიღებული სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ვაჭრობის თავისუფლება, რეკვიზაციის მოსპობა, საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში მშრომელ ინტელიგენციის ჩაბმა და სხვა.

დამნაშავეთა კონტრ-რევოლიუციის ჩაქრობაზე უშუალოთ მოყვა ის, რომ ხელოვნურად წარმოებულ აგიტაციის ზეგავლენით მცხოვრებნი უნდობლათ მხვდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მათ, ერთი მხრივ, ეშინოდათ რესპუბლიკის და მეორე მხრივ მეურნეობის, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის მკაცრი რეგლამენტაციის. მაგრამ რევკომმა გამოაცხადა პოლიტიკური ფართო ამნისტია, რომელმაც შესძლება მისცა ყველა პოლიტიკურ ელემენტებს მშვიდობიან აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებისა. გამოსცა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ დეკრეტი, მოსპო პირნახულის რეკვიზიცია და აგრეთვე გამოაქვეყნა დეკრეტი პირნახულით თავისუფლათ სარგებლობის და მოხმარების შესახებ. და ამით სრულიად შეიცვალა მცხოვრებთ ფართო წრეების განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, იგი დარწმუნდა, რომ საჭიროა მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ამ ხელისუფლების განმტკიცებას.

რამდენად ფართოდ ტარდება ცხოვრებაში აღნიშნული პოლიტიკა იმიდანაც სჩანს, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გლეხკაცს დაწესებულ ნორმაზედ მეტი საქონელი აქვს. საბჭოთა ხელისუფლება, ჯარის და მცხოვრებლების გამოკვების საჭიროებისათვის, რეკვიზიციით კი არ ართმევს ამ ზედმეტ საქონელს, არამედ ყიდულობს ბაზრის თავისუფალ ფასში. ასეთივე პოლიტიკას აწარმოებენ მებაღეობის შესახებაც; ამ დარგს, როგორც მოგეხსენებათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სომხეთის ეკონომიურ ცხოვრებაში. კერძო მფლობელობაში მქონე ბაღები, რომლებიც, უნდა ვსთქვათ, არც სივრცით და არც საერთო ხასიათით არ წარმოადგენენ რაიმე თვალსაჩინოს, დატოვებული არიან ძველ მფლობელთა ხელში. გაეროვნებულია მხოლოდ სამინისტრო, საეკლესიო მოსპობილ საგვარეულოს და სხვა ბაღები, ესენი ეძლევათ იჯარით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებულ პირობების თანახმად კერძო პირთ, ან ჯგუფს, რომელთაც სურთ თავის შრომა ბესწირონ სოფლის მეურნეობას. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად, რევკომი უწევს მცხოვრებლებს დიდ დახმარებას, როგორც მასალით, ისე მეურნეობის მოწყობის საქმეში, აი ის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს საბჭოთა ხელისუფლება სომხეთში და რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას ვირწმუნოთ, რომ განუწყვეტელი ომით დაღლილ-დაქანცულს, ღონე მიხდილს ხალხს ელოდება მშვიდობიან შრომისაკენ დაბრუნება და დანგრეულ მეურნეობის აღდგენა.

**კონტრ-რევოლიუცია სომხეთში**

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე თუ რითი უნდა აიხსნას მაშ სომხეთში გაჩენილი კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა, რევკომის თავმჯდომარემ უპასუხა:

სომხეთის კონტრ-რევოლიუციის ძაფები გარედ იყო გაბმული. ამას შეიძლება იქიდანაც მივხვდეთ, რომ როდესაც კი საქართველოში მშრომელმა ხალხმა აფრიალა თავისის დროშა განსათავისუფლებლად და საქართველოს მენშევიკებმა შეიარაღებული გამოსვლება მოახდინეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ასეთივე მოძრაობა სომხეთშიაც მოხდა. კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერთა გეგმები ისეთი ფართო იყო, რომ დაშნაკელთა პრესაში გამოთქმული იყო აზრი, რომ საჭიროა შეიქმნას „კავკასიის განმანთავისუფლებელი კომიტეტი“. კონტრ-რევოლიუციონერთა საიდუმლოდ მაშინ აწარმოებდა სომხ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის უმეტესობა, რომელმაც არ გაითვალისწინა ყველა თვისებები ასეთ პირობებში და გლეხურ და წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყნისა, როგორიც სომხეთია.

**სასურსათო და ფინანსიური მდგომარეობა.**

შეეხო რა სომხეთის ეკონომიურ, ფინანსიურ და სასურსათო მდგომარეობას ამხ. კასიანმა სთქვა, საზოგადოთ ეკონომიური მდგომარეობა ისეთ გავერანებულ და ღარიბ ქვეყნისა, როგორც სომხეთია, მძიმე იყო, მაგრამ დაშნაკელებმა ყოველივე ძალა იხმარეს, რომ ქვეყანა საბოლოოთ დაეღუპათ. მათ მოსპეს და გაიტაცეს მთელი მომარაგებული დოვლათი, სახელმწიფოსი. გლეხობას მთლად წაართვეს ყოველისფერი, წაიღეს არა მარტო მთელი ვალიუტა, არამედ ბონებიც კი. ასეთ პირობებში

გვიხდება სულყველაფრის ხელ-ახლა შექმნა. ემჩნევა მწვავე ფინანსიური კრიზისი და სურსათის უქონლობა. ილაჯწართმეული ხალხი სიკვდილის ჩრდილის წინაშე სდგას. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა მას მერე, რაც გუმბრი საბჭოთა ხელისუფლების ხელში გადავიდა. ქალაქი მთლათ გაცარცულია და გაწმენდილი. სომხეთის რევკომი ყოველ ზომას ხმარობს. მაგ. სპარსეთთან ეკონომიური კავშირი გააბა და უკვე შესყიდული აქვს რამდენიმე ათეული ვაგონი პური, მოელიან დახმარებას საბჭ. რუსეთიდან და სხვ. ამავე დროს ზომებია მიღებული მინდვრების ფართოდ დასათესად. რადგანაც სომხეთისათვის ამნაირ მდგომარეობის გამო შეიძლება არსებობდეს ერთი ლოზუნგი; —დათესეთ, რაც შეიძლება მეტი, არ დასტოვოთ არც ერთი ნიხა დაუთესავი.

## საქარ. საბჭ. სოც. რესპ. რევ. კომიტეტს

### სასწრაფო განცხადება.

საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი ერთხელ კიდევ აცხადებთ, რომ სოც. დემ. მუშ. პარტია ყოველთვის იყო და არის გადაჭრით წინააღმდეგი ყოველგვარ ავანტიურისტულ გამოსვლისა. იგი აფრთხილებდა და აფრთხილებს ყველა თავის თანამოაზრეებს, რომ არ გადადგან არავითარი ისეთი ნაბიჯი, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის ტრადიციებს და მის ძირითად პრინციპებს.

მასიური პარტია არას დროს არ ისახავდა მიზნათ შეთქმულებითი მეთოდებს და პირიქით ასეთ განზრახვებს ებრძოდა და ებრძვის.

29 აპრილს ქუთაისში მომხდარი ამბავს ცენტრ. კომიტეტი სთვლის პროვოკაციათ, რომელიც პირდაპირ მიმართულია ჩვენი პარტიის წინააღმდეგ.

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის განცვიფრებას გამოსთქვამს, რომ ასეთი სამარცხვინო აქტის გამო იჭერენ ჩვენს ამხანაგებს.

ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს ამ გაუგებრობას ბოლოს მოუღებს საქართველოს საბჭ. სოც. რესპ. რევოლუციონური კომიტეტი და ნამდვილი დამნაშავენი აღმოჩენილი იქმნებიან.

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

## 1-ლი მაისის დღე

**მიტინგი სახელმწიფო თეატრთან.**

მიტინგი დაიწყო ამხ. ორახელაშვილის მისალმებით:

ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით პირველი სალამი მივუძღვნა საბჭოთა რუსეთს, საითკენაც მიმართულია ჩვენი ფიქრები. მეორე ჩემი სალამი ჩვენს—ძვირფას სტუმრებს: წითელს აზერბეიჯანსა და წითელს სომხეთს. და მესამე ჩემი სალამი გულის სიღრმიდან გამარჯვებულ წითელ არმიას და მის ბელადებს, იმ არმიას, რომელიც ყველგან მიდის დაეხმაროს მუშათა კლასს მის სასიცოცხლო ბრძოლაში კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

დიდება წითელს არმიას და მას ბელადებს,
დიდება საბჭოთა რუსეთს, დიდება მე 3-ე ინტერნაციონალს.
და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს საქართველოს, სომხეთ ა ი აზერბეიჯან..

**ამხ. ნარბუტაბეკოვის სიტყვა.**

აღმოსავლეთის საპროპაგანდო საბჭოს წევრი ამხ. ნარბუტაბეკოვი თათრულ ენაზე ამბობს ლამაზს სიტყვას და შემდეგ სთარგმნის მას რუსულად.

ნება მომეცით დღეს, შესანიშნავ შრომის პროლეტარულ დღესასწაულის დროს, —ამბობს იგი,—აღმოსავლეთში კომუნიზმის იდეის საპროპაგანდო საბჭოს, ამ კომუნისტურ ინტერნაციონალის სახელით, რომელიც დარაჯათ უდგას აღმოსავლეთში მე-3-ე ინტერნაციონალის იდეას, მივესალმო ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს. გაივლის კიდევ ერთი წელიწადი და ჩვენ შეიძლება, ინგლისის კაპიტალიზმის ხელისუფლებისაგან გავანთავისუფლოთ თურქესტანი და შევუერთოთ იგი ახალგაზ( და წითელ რესპუბლიკათა ოჯახს.

ორატორი ამთავრებს თავის სიტყვას ამ ახალგაზრდა წითელ რესპუბლიკათა საბჭოთა რუსეთის და მე-3-ე ინტერნაციონალისადმი მისალმებით.

**ამხ. აბას-ხოჯაევის სიტყვა**

აღმოსავლეთის საპროპაგანდო საბჭოს დელეგაციის წევრი ამხ. აბას-ხოჯაევი წითელი თურქესტანის სახელით ესალმება ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს, მებრძოლ პროლეტარიატის და გლეხობის სახით. ამხ. ხოჯაევი აღწერს რა მოკლედ თურქესტანის ბრძოლას ანტანტის წინააღმდეგ სამი წლის განმავლობაში, უგზავნის მხურვალე სალამს მე 3 ე ინტერნაციონალს, რომელმაც მიიყვანა საქართველო 1 მაისის დღესასწაულამდე.

**ამხ. ლეგრანის სიტყვა.**

უკვე მე 3 ათეული წელია, ამბობს ამხ. ლეგრანი, რაც 1 მაისი წარმოადგენს პროლეტარიატის ბრძოლის დღესასწაულს. მუშათა ამ დღესასწაულის დროს კაპიტალისტები და ბურჟუები ჰგრძნობენ თავის დაღუპვას. აღმოსავლეთი უკვე მეორეთ დღესასწაულობს 1 მაისს. ჩვენში, ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოში, კაპიტალიზმის დამქაშების ჩამოგდების შემდეგ, ამ დღეს ვდღესასწაულობთ პირველად გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა საქართველოს პირველ მაისის დღესასწაულს.

**ამხ. ლიხოვსკის სიტყვა.**

წითელი ლაშქრის სახელით ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ესალმება ამხ. ლიხოვსკი, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სანამ საქართველოში საბოლოოთ არ დამყარდება საბჭოების ხელისუფლება, მანამდე წითელი ლაშქარი არ დატოვებს მარტოდ ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს და მის პროლეტარიატს. გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს.

**ადლუმი.**

ჯერ არ მიწყნარებულიყო ჯარის მისალმებანი, რომ უამრავმა ორკესტრმა დაიწყო ინტერნაციონალის შესრულება ჰიმნის ხმებ ქვეშ გაიარა წინ პროცესიის თავმა.

**მიტინგი მუშათა სახახლესთან.**

მუშათა სასახლესთან ტრიბუნაზე დაიწყო მეორე მიტინგი. პირველად სიტყვით გამოდის პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კურულაშვილი, რომელიც მიმართავს მუშებს და მოქალაქეებს მისასალმებელ სიტყვით ქართულად და რუსულად.

**ამხ. კურულაშვილის სიტყვა.**

ამხანაგებო, დღეს, საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, ჩვენთან არიან მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების ბელადები: აზერბეიჯანისა—ამხანაგი ნარიმანოვი და სომხეთისა—ამხ. მიასნიკოვი. ტფილისის მუშათა კლასი მათი სახით მიესალმება სომხეთის და აზერბეიჯანის ძმურ მუშათა მასებს. გაუმარჯოს საბჭოთა აზერბეიჯანს და სომხეთს. გაუმარჯოს რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას, რუსეთის მძლე მუშათა კლასს და რუსეთის დიდებულ წითელ არმიას, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატს ეხმარება განთავისუფლებაში.

ამხ. კურულაშვილის სიტყვები იფარება საპასუხო ყვირილით: „გაუმარჯოს“. შოისმის აგრეთვე ინტერნაციონალი შემდეგ მისალმებით გამოდიან ამხ. ნარიმანოვი და მიასნიკოვი.

**ამხ. ნარიმანოვის სიტყვა.**

— მხურვალე, გულითადი სალამი თქვენ, ამხანაგებო, წითელ საბჭოთა აზერბეიჯანისგან დღევანდელი დღესასწაული ტფილისში მას იმედს უნერგავს, რომ მომავალ წელში ჩვენ ვიდღესასწაულებთ პირველ მაისის დღეს მთელს აღმოსავლეთში. გაუმარჯოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს. გაუმარჯოს მშრომელთა დიდ ბელადს—ამხ. ლენინს.

**ამხ. მიასნიკოვის სიტყვა.**

სომხ. საბ. რესპუბლიკის რევკომის წარმომადგენელი ამხ. მიასნიკოვი ამბობს:

— ამხანაგებო, მე მივესალმები ქართველ მუშებს სამი რესპუბლიკის სახელით. დღეს, საქართველოს დედაქალაქში შრომის დღის დღესასწაულის დღეს ჩვენ განსაკუთრებით მკაფიოდ უნდა შევიგნოთ, რომ კავკასიაში ჩვენ ბრძოლის კეთილად დასრულებისათვის საჭიროა ყველა მშრომელ მასსების ძმური კავშირი. ამ დროიდან ქვეშ ჩვენ, საბჭოთა წესწყობილების კავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკებმა, უნდა მოუწოდოთ მშრომელთ მწყობრი მუშათა ისკენ, რომელშიაც ისე საჭიროებს მხარი და რომელსაც მთელი რუსეთის პროლეტარიატი იმედით შეჰყურებს. რუსეთის მუშები დიდის იმედით შეჰყურებს ამიერ კავკასიის დაუმთავრებელ აღმშენებლობას, განსაკუთრებით საქართველოს. ჩვენ გავამართლებთ ჩვენი თანამოძმეთა იმედს და მათთან ერთად აღვმართავთ შრომის წითელ დროშას კავკასიის და რუსეთის მთელ სივრცეზე. გაუმარჯოს პროლეტარულ კავშირს, გაუმარჯოს საბჭოთა კავკასიას, გაუმარჯოს მე-3 ე ინტერნაციონალს, რომლის ეროვნის ქვეშაც ჩვენ მოგველის გამარჯვება. ორივე სიტყვას ჰფარავს ღელვაცემული ოვაციები და ინტერნაციონალი.

**სიტყვა ამხ. ორჯონიკიძისა.**

შემდეგ ქართულ და რუსულ ენაზე სიტყვით გამოვიდა № არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. ორჯონიკიძე, რომელმაც სთქვა:

— ამხანაგებო, დღეს პირველად საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები დღესასწაულობენ თავის გამარჯვებას. დღეს, ამხანაგებო, მაისის დღესასწაულს ამ გვარადვე უქმობენ მხოლოდ საბჭოთა აზერბეიჯანში და ჩვენს დიდ, ძვირფას ძმურ საბჭოთა რუსეთში. მხოლოდ ამ რესპუბლიკებში, მუშები, გლეხები და არმია მიდის ხელ[illegible] ... [illegible] ... წარმოებ[illegible] ხელისუფლების დაპყრობის შესახებ ... დგან ძალა უფლება მხოლოდ ამ რე-სპუბლიკებში იმყოფება მუშა-გლეხების ხელში. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომც ჩვენი მუშაობა, ჩვენი ბრძოლა დამთავრებულიყოს ვითომც ჩვენ სოციალიზმის სამეფოში ვიმყოფებით. ჯერ კიდევ ძნელი და მძიმე სავალი გვაქვს წინ, ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლაა საჭირო. არა ერთხელ მოგვიხდება ბოროტებათა და ღალატების ჩადენილ ცდომებისა, მაგრამ მთავარი ხელისუფლების მოპოვება ჩვენ მიერ უკვე წარმოებულია.

მე არ შევცდები, თუ ვიტყვი, აქაც არიან ბევრნი, რომლებიც იქ... ან დიახ, ჩვენ მართალია ვდღესასწაულობთ პირველ მაისს, მაგრამ ჩვენ იმყოფებიან უცხო ძალები, რომელიც წითელი არმია, ხომ არ ნიშნავს საქართველოს აღსრულს. არა, ათასჯერ არა. წითელ დროშების ნაზე ჩვენ ფიცს ვდებთ, რომ არავინ საწინააღმდეგო, რომ საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი რუსეთის მხრიდან და არც რუსეთის წითელ არმიის მხრიდან არ იქნება მოყვანილი. პირ-იქით, წითელ არმია თავისი მკერდით დაიცავს და შეინახავს საქართველოს მიერ მოპოვებულ თავისუფლებას. ეს არმია დაპყრობის მიზნებით როდი მოსულა. ეს ის არმია არაა, რომელსაც თქვენ იცნობდით წლის წინედ. იგი მე-3-ე ინტერნაციონალის რევოლიუციონური შტაბის მიაა. იგი მიდის იქ, სადაც პროლეტარიატი მოელის განთავისუფლებას. არმია მოვიდა აქ და დაიცავს ქართველ მუშათა და გლეხთა თავისუფლებას და ჩვენ ყველანი ერთად ვაფრიალებთ წითელ დროშას უცხო შორის ... ლეთით. თავის გამარჯვებულ წინსვლაში მას არ აქვს საზღვარი, რადგან მიდის განსანთავისუფლებლად მარად მონაგებულ და დაჩაგრულ მუშებისა და გლეხებისა. თქვენ, მიმართავს ამხ. ორჯონიკიძე ჯარებს, თქვენ თამამად გიძლიანთ იდღესასწაულოთ თქვენი გამარჯვება. თქვენ, რომლებმაც დაიცავით საკუთარი კერა და იმყოფებით ქართველთა, სომეხთა და აზერბეიჯანელთა შორის.

თქვენ აქ იხილეთ გამოსვლა 3 წარმომადგენლის კავკასიის 3 საბჭოთა რესპუბლიკისა, თქვენ მოსულხართ ...

## გათომთან ბრძოლა და საბჭოთა ძალა-უფლების დამყარება საქართველოში

4.

**დარბევის შედეგები და ბრძოლის დასაწყისი.**

დილით 18 მარტს ქალაქის მიდამოებში სიწყნარე იყო. უფროსი ექიმითურთ ადრიანათ გავემგზავრეთ ამბების გასაგებათ.

ახალ ამბებს შორის პირველი იყო ის რომ ღამე 17—18-ზე შემდგარა რევკომი, რომელშიც შედიოდნენ ქავთარაძე, ტოროშელიძე და ელენე. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ რევკომის პირველი ბრძანება, რომლიდანაც ნათლად გავიგეთ, რომ ძალა უფლება ბათომში რევკომის ხელში გადასულა და ყველას ევალება წესრიგის დაცვა, მხოლოდ საქართველოს ჯარის ნაწილები უნდა დარჩნენ თავის ადგილებზე და დაექვემდებარონ რევკომის ყოველ ბრძანებებს. თურმე დ. მ ი, რომელსაც ფრონტიდან მოსახსენებლად მთავრობასთან დაბრუნდა ჯარების სარდალი გენერალი მაზნიაშვილი, უკანასკნელს მიენდო საქართველოს ჯარების მთავარსარდლობა, ვინაიდან ჯარები არსებითად მოკლებული იყვნენ მმართველობას, რადგან ღამით ყოფილ მთავრობასთან ერთად წავიდა აგრეთვე მთავარ სარდალი გენერალი კვინიტაძე. ამასთანავე აღსანიშნავია რომ ბათომში მყოფი ჯარის ნაწილები წარმოადგენდნენ ზურგს, ვინაიდან მოწინავე პოზიციებით იმ დროს ითვლებოდა საჯევახო-ნატანების ხაზი, სადაც იყო დაბანაკებული ჯარის ნაწილები. მაგრამ ბათომის ირგვლივ გართულებულ მდგომარეობის გამო, საერთო მოქმედების მსვლელობა დიდის სისწრაფით მიმდინარეობდა. თურქების მოქმედება ნათელი იყო ყველასათვის, ვინაიდან შემოსვლისთანავე ეცნენოდათ მათ სურვილი ბათომის ციხე სიმაგრეების და დაწესებულებების ხელში ჩაგდება და ამის შემდეგ საქართველოს ჯარის განიარაღება. ეს ნათელი იყო ყველასათვის, ერთგვარ მოლაპარაკებასაც კი აწარმოებდა ჩვენი სარდლობა ანგორის წარმომადგენელ ქიაზიმ-ბეისთან, მაგრამ თურმე ეს ზედმეტი ყოფილა, ვინაიდან როგორც შემდეგ გამოირკვა ყარაბექირმა ოფიციალურათ მე-11 არმიის უფროსის სახელობაზე გამოგზავნილი დეპეშით შეგვატყობინა,—ელაპარაკება პარდაპირი მავთულით ორახელაშვილი ლორთქიფანიძეს—რომ დიდის ეროვნულის კრების დადგენილებით, ბათომი, მისი ოლქი, ახალქალაქი უნდა შეერთებულ იქნას ოსმალეთთან, როგორც მისი კანონიერი ნაწილები და რომ მან ამის თანახმათ გასცა ბრძანება ხსენებულ რაიონების დაჭერის შესახებ. მის ოფიციალური ცნობის თანახმათ ბათომი დაკავებულია 11 მარტს“.

აი სად მუშაობდა თურქების დიპლომატია, და რა გასაკვირველია, რომ ქიაზიმ-ბეის და ქართველ სარდლობის შეთანხმება შეუძლებელი იყო, მით უმეტეს რომ მენშევიკურ მთავრობის დასტურით, თურქების ჯარი შემოვიდა ბათომში და ამის შესახებ სარდლობასაც არავითარი ცნობა ჰქონდა. რამდენათაც ვიცით მთავარ სარდალს გენერალ კვინიტაძეს პირადათ, მხოლოდ საქართველოს ყოფილ მთავრობის საგანგებო რწმუნებულ ბათომში გიორგაძეს წერილობით, გაეცა ბრძანება, რათა ბათომის გარნიზონის ჯარის ნაწილებს დაეჭირათ ბათომის ციხის ყველა სიმაგრეები. მაგრამ როგორც გამოირკვა ამ ბრძანების შესრულება ვერ იქნა მოყვანილი სისრულეში, ვინაიდან თურქებმა უკვე დაიკავეს ზოგიერთი სიმაგრეები, მაგალითად ბარცხანა, ჰამიდიე, ანარია და პატარა სამება. მხოლოდ ჰამიდიე და ბარცხანა ნაწილობრივათ დაიკავა ქართულ ჯარის ნაწილებმა, რომლებმაც დაიკავეს აგრეთვე კახაბერი, სტეპანოვკა და დიდი სამება?

ამასთანავე ღამით 17—18 მარტს თურქებს დაუკავებინათ ფოსტა, მილიციის შენობა და ფიქრობდენ ახლად შემდგარ რევკომის შენობის დაკავებას და აგრეთვე პასპორტის და საბარგო სადგურების, მაგრამ უკანასკნელთა დაკავება არ მოხდა, ვინაიდან ჩვენი ჯარის ნაწილები თურმე მამაცურათ იცავდენ თურქებიდან ყველა დაწესებულებებს. საერთო აზრი, რომელიც იმ დღეებში ტრიალებდა ყოველ ქართველში და მასთანვე უმთავრესად მთელ ჯარში სარდლობიდან დაწყებული უკანასკნელ ჯარის კაცამდე, იყო ერთი რითაც არ დაგვიჯდეს, ბათომი უნდა შერჩეს საქართველოს რესპუბლიკას, ბათომი უნდა შერჩეს ქართველ ერს, მის მშრომელ ხალხს. ეს აზრი ნათელი იყო ყველასათვის და ამ აზრმა გაიმარჯვა, ვინაიდან გაიმარჯვა ქართულ ჯარის ყველა იმ ნაწილებმა, რომელიც იბრძოდა იმ დღეებში ბათომისთვის, რომელიც იცავდა ბათომს თურქების ურდოებისაგან.

ეს იყო ბრძოლა თავისუფალ საქართველოსთვის, ეს იყო ბრძოლა ქართული, მამაცური, ვაჟკაცური.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ თვით საბჭოთა საქართველოს მთავრობის აზრიც ბათომის საკითხში იგივე იყო რაც მთელი ქართველი ხალხისა.

„ვაცხადებთ კიდევ ერთხელ ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ ჩვენ მივდივართ ერთად-ერთ მიზანს—ბათომი შეუნარჩუნოთ საქართველოს“ ai სიტყვები საბჭოთა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის მ. ორახელაშვილისა, რომელმაც ეს სიტყვები გადასცა საქართველოს მენშევიკურ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს გრ. ლორთქიფანიძეს პირდაპირი მავთულით.

ბათომი საქართველოს, მთლიანი საქართველო ერთ ძალა-უფლების ქვეშ — აი ლოზუნგი, რომელიც წარმოიშვა იმ გართულებულ მომენტში და რომელმაც მართლაც გაიმარჯვა.

დავიწყოთ ბათომის დარბევიდან.

დილით ბათომის ერთი ნაწილი, სახელდობრ ქუთაისის ქუჩა ძლიერ იყო დარბეული დანგრეული დუქნების დარაბები და ფანჯრის შუშები, ქუჩაში მრავლად დაყრილი ყუთები და ცარიელი ქაღალდები. იქვე ეგდო ერთი მკვდარი თათარი; მეორე ადგილას გდია ერთი დაჭრილი ქალი; მესამე ადგილას აქცევია სისხლი. ერთი სიტყვით ეს ქუჩა იყო ნამდვილი სურათი იმ ღამის დარბევისა.

დანარჩენ ადგილებშიაც ყოფილა ლამის სროლა, მაგალითად უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც დაწესებულებები ეკავათ უკვე და კიდევ უნდა დაეკავებინათ თურქებს.

მაგალითად თურქები, რომლებიც ცდილან რევკომის ბინის დაკავებას, უკუგდებული ყოფილან ახალ შემდგარ ქართველ ცხენოსნებისაგან, რომელთაც განუზრახავთ აგრეთვე თურქების გამოდევნა ფოსტა-ტელეგრაფის შენობიდან. ასე რომ დილით ის დაწესებულებები, რომელნიც დაკავებული ჰქონდათ ქემალისტებს, კვლავ მათ ხელში დარჩა, ვინაიდან ქალაქის ცენტრი ... თი ძალადობით გამორეკვა დიდ ... ლის ღვრას გამოიწვევდა და ამას ... ეს მცხოვრებლებიც დაზიანდებოდ...

გემი „მარია“, რომელზედაც ... ფრენოდნენ მთავრობის ზოგიერთი ... რები და რომელიც უნდა სტამბოლ... კენ გასულიყო, კვლავ ნავთსადგურ... იდგა, მხოლოდ ცოტათი მოშორებ... ზღვაში.

ასეთი იყო საერთო სურათი დილ... 18 მარტს ქ. ბათომში. ბათომის ... პეიაში იმ დღეებში მრავალი ... შესანიშნავი მომენტები იყო, რომ... აუცილებლად აღსანიშნავია.

საერთოთ საქართველოს ყველა ... ხებში რევკომები დაარსდა რუსის ... რის შემოსვლის შემდეგ, ბათომში რევკომი შესდგა რუსის ჯარის შემ... ლამდის და რევკომს დაემორჩილა ... ლი ქართული ჯარი, რომელიც ... თა ძალაუფლების ცნობის შემდეგ ... ვე რევკომის ბრძანებით ახლად ... ნულ მთავარ-სარდალ მაზნიაშვილ... თაურობით იცავდა ბათომს თავგ... დამოებით თურქთა ჯარებისაგან.

აღსანიშნავია აგრეთვე ის რომ ... სათავეში მოექცა ისეთი სარდალი, ... მელსაც არა ერთი და ორი გამარჯ... უნახავს ქართველ ჯართან ერთად ... ქართველის დაცვის საქმეში. ვინ ... სოვს ბოლოქი, გაგრა სოჭი, სოღ... დი, ვინაც ახსოვს ამ რაიონებში ... ქართველის ამ ისტორიულ ადგილ... ბრძოლები ქართულ ჯარისა, ... სოვს რასაკვირველია მხედარი გ... მაზნიაშვილი, რომელსაც თავზარი ... ცია მტრისათვის და მტრის თავ... კი პატივისცემის და ქების ღირსი ... დარა. კაცი უბრალო, კარგი მ... ჯარისათვის საყვარელი, რომე... ჯართან ბევრი ჭირ-ვარამი, გევ...

ციკების, დაშნაკელების და მუსავატელების დამხობამდის, სიძულვილი და ქიშპობა სუფევდა კავკასიის რესპუბლიკათა შორის, და მხოლოდ წითელ არმიის მოსვლით. მათ შორის გაქრა შური და სიძულვილი.

ქება და დიდება თქვენ, მუშა-გლეხ და მეომარნო, თქვენ დაბრუნდებით სახლში იმ დროშებით, რომელიც ჩაგვბარეს თქვენ რუსის მუშებმა და გლეხებმა და უთხარით თქვენს ძმებს, მამებს, დედებს და ცოლებს: აი დროშა წითელი, სისხლის ფერი, ჩვენი სისხლით შეღებილი.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციას. გაუმარჯოს მე 3-ე ინტერნაციონალს. ვაშა სახელოვან წითელ არმიას.

**ამხ. ორახელაშვილის საბოლოო სიტყვა.**

მოკლე საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. ორახელაშვილი, რომელიც გამოსთქვამს სურვილს, რომ შემდეგ 1-ლი მაისისათვის დამყარებული იყოს სრული ბატონობა მსოფლიო პროლეტარიატისა. ამის შემდეგ ორახელაშვილი მიტინგს ჰხურავს. სიტყვის შემდეგ საკარნავალო სვლა კვლავ შოთა რუსთაველის პროსპექტით მიიმართება, რის შემდეგაც ცალ-ცალკე საკარნავალო ჯგუფები ცენტრიდან გარეუბნებისაკენ მიდიან. თუმცა 4 საათზე დღესასწაული გათავდა, მაგრამ ქუჩები ისევ სავსეა ხალხით.

**ბავშვთა დღესასწაული.**

თბილისს დიდი ხანია, რაც არ უნახავს ასეთი დიდი რიცხვი ბავშვებისა, ერთად შეკრებილნი და მხიარულ საზეიმო განწყობილებით. მწყობრ უამრავ გრძელ რაზმებად მიდიოდნენ ბავშვები ქალაქში. ქუჩაზე გადასვლის დროს მათ წინ შუა იპობა წითელ არმიელებისა და მუშათა კავშირების მწყობრი რიგები.

— გზა ბავშვებს.

— გზა ჩვენს ახალგაზრდა ამხანაგებს.

ამ კეთილ ამოძახილში ისმოდა:

— გზა ჩვენს საუკეთესო მოიმედეებს, ჩვენს ნათელ მომავალს. ქუჩაში მხიარულნი და მოყიჟინენი, ბავშვები თეატრში შესვლისას დუმდებიან, წყნარდებიან და სასოებით მხიარულად უმზერენ თვალ წინ გაშლილ სცენაზე წარმოდგენილ ზღაპრულ სურათებს.

ყველა თეატრებში მოწყობილი იქნა სეანსები ბავშვთათვის. სადღესასწაულო ზეიმს და გართობებით განაგებდა მ. მორდვინი.

მხოლოდ ერთმა სახელმწიფო საოპერო თეატრმა 7.000 მეტს ბავშვს აგრძნობინა სიამოვნება.

ხელოვნების უშრეტელ წყაროდან ბავშვებმა მოიკლეს წყურვილი სიხარულით და სიამოვნებით. დილით ყველა ბავშვებმა საჩუქრად მიიღეს: თეთრი პური, კვერცხები, ვაშლები, კონფეტები და ყველი მთელი ეს დღე ჩატარდა ბავშვების სიყვარულისა და მათ მხიარულებაზე ზრუნვით. ზედმეტად ეს სიყვარული ბავშვებისადმი იყო აღნიშნული შემდეგი სცენით: სახელმწიფო ოპერის კონტროლიორმა შენიშნა ორი ბიჭიკო, რომელნიც ცდილობდნენ, რათა ხელმეორედ შესულიყვნენ დარბაზში. ბავშვებს არ უშვებდნენ. მათ სახეზე გამოხატული იყო დამწუხრება და იმ დროს მოვიდა თეატრის კომისარი ამხ. ქართველიშვილი, რომელმაც გაიგო რა საქმის ვითარება უბრძანა შეეშვათ ბიჭიკოები და სთქვა: დღეს შევიდნენ რა საჭიროა აქ ასეთი სიმკაცრე. დღე, მათი სიხარულის გაგრძელდეს, ვინაიდან ბავშვთა სიხარული საუკეთესო ნაწილია ჩვენი მხიარულებისა.

**საზეიმო საღამოები თეატრებში.**

საღამოს ცენტრად იყო სახელმწიფო საოპერო თეატრი. აქ მოვიდნენ წარმოდგენის დაწყებამდე ბაქოდან ჩამოსული სტუმრები: ნარიმანოვის მეთაურობით, საქართველოს რევკომის წევრები ამხ. ორახელაშვილის მეთაურობით და სხვ.

საპირველმაისო საზეიმო წარმოდგენა გახსნა 1 მაისის ჰიმნით. დარბაზში გაიარა მსახიობმა გულიმა თანხლებით პროფკავშირის ორი წევრისა წითელ დროშებით. დადგა რა მაღლობზე, მსახიობმა წაიკითხა შემდეგი:

**საღამოთი თეატრებში.**

ადიდეთ დიდი პირველი მაისი.
შრომისა უქმე, ბორკილთ დამხობის
ადიდეთ დიდი პირველ მაისი
თავისუფლების უქმე და ტრფობის.

დანნო ჩაიცვით გვირგვინის კაბა
მორთეთ გზა, ყვავილთა ფენით.
ძმებო ერთმანეთს გადაეხვიეთ
ტანჯვის და ცრემლის გამქრალ დღენი
წელნით.

გამოდით ყველა ფაბრიკ ქარხნიდან.
დაუხვდით ზეიმს ყველა მშრომელო.
—შენ პროლეტარო და მეომარო
იარე მიწის სრული მფლობელო.
მჭახედ ორკესტრნი ზევით დროშები
ადიდეთ დიდი კავშირი მუშათა.
ადიდეთ მებრძოლთა ლეგიონები
არმია მწვანე გახუნილ ხალათთა.
ადიდეთ დიდი პირველი მაისი.

**ამხ. ელიავას სიტყვა.**

საქართველოს წითელი ლაშქრის სახელით ლაპარაკობს რევკომის წევრი და სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარი ამხ. შალვა ელიავა. იგი ამბობს. დღევანდელი დღესასწაული წარმოადგენს არა მარტო მუშათა დღესასწაულს, არამედ სახელმწიფო დღესასწაულსაც. ამხ. ელიავა აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის აუცილებელია თავისი ძლიერი წითელი ლაშქრის შექმნა.

— აქ საზეიმო მსვლელობაში, ჩვენ უკვე ვხედავთ საქართველოს ამ მძლავრი ლაშქრის პირველ ჩანასახებს. რომელიც დარაჯათ იდგება აღმოსავლეთის. გაუმარჯოს რუსეთის და საქართველოს წითელ ლაშქარს. გაუმარჯოს პირველ მაისის დღესასწაულს.

**მიტინგი თავისუფლების მოედანზე.**

მიტინგი თავისუფლების მოედანზე დაიწყო ამხ. მახარაძის მისასალმებელი სიტყვით:

— პირველი ჩემი სალამი ეკუთვნის უძლიერესს წითელ ლაშქარს, პროლეტარულ ბრძოლაში, გამობრძმედილს მეორე სალამი აზერბეიჯანის გმირ მუშებს, რომელთაც გაიარეს ტანჯვის გრძელი გზა და სომხეთის განთავისუფლებულ უღარიბეს გლეხობას, მრავალჯერ მოტყუებულს მტრების მიერ, რომელთაც ღვარეს ხალხის სისხლი და ეხლა მხოლოდ მტრისაგან საბოლოოდ განთავისუფლებულს. ბოლოს უსურვებს ტრიბუნაზე მდგომ აზერბეიჯანის რევკომის თავმჯდომარეს ამხ. ნარიმანოვს და სომხეთის რევკომის თავმჯდომარეს ამხ. მიასნიკოვს მრავალ-ჟამიერ სიცოცხლეს. ამხ. მახარაძე ხაზს უსვამს წითელი ლაშქრის დიდ როლს. რომელმაც განათავისუფლა გარშემორტყმულ მტრებისაგან კავკასია. ეხლა, როდესაც ჩვენ შევმუსრეთ შინაური კლასიური მტრები, როდესაც თავი დავაღწიეთ გარშემორტყმულ მტრების ოპეკას და გვ ლენას და შევუდგებით სახელმწიფო აღმშენებლობას საბჭოთა საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია ყველა მშრომელ ხალხთან ერთად გამოვიდეთ ქუჩაში მშრომელთა პირველ მაისის სადღესასწაულოთ. ამ დღის თავისუფლათ დღესასწაულობა პროლეტარიატისთვის ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ ნატვრის საგანია. იქ, ქუჩებში იღვრება მუშათა სისხლი. გაუმარჯოს, ამხანაგებო, ამ ჯერ კიდევ გაუნთავისუფლებელ პროლეტარიატს, უსურვოთ, რომ, რაც შეიძლება ჩქარა აფრიალდეს იქ წითელი დროშა ეს პროლეტარიატის გამარჯვების ნიშანი.

ამხ. მახარაძის სიტყვა დაფარა ძლიერმა ტაშმა, რომელიც ოვაციათ გადაიქცა და ინტერნაციონალით დასრულდა.

---

ქერქეტა უნახავს, მაგრამ ამ ჯართან მრავალი კარგი და ღირს შესანიშნავი გამარჯვებებიც. აი ეს სარდალი, ღენერალი მაზნიაშვილი დაინიშნა იმ ღამეს მთავარ-სარდლად ქართულ ჯარისა, რომელიც გაურკვეველ მდგომარეობაში იყო ასეთ გართულებულ მომენტის დროს და წყურვილით აღსავსე უცდიდა მთავრობას, უცდიდა მხედართ-მთავარს, ბრძანებელს, რომელიც თავის ცოდნით, თავის გამოცდილებით გააშლევებდა ჯარს, მისცემდა მას შესაფერის გეზს, რათა საერთო აზრი საერთო მიზანი, საერთო ლოზუნგი „მთელი საქართველო“, მთლიანი საქართველო ქართველ მშრომელ ხალხს“ გამარჯვებით და პირნათლად გამოეტანათ ქართველ მეომრებს იმ სახელოვან ბრძოლებიდან, რომელიც ჩვენ ვიხილეთ დაწყებული 17 მარტს ღამით და დამთავრებული 20 მარტს ღამით.

მართალია ზოგიერთი პოლიტიკოსი ბათომთან ბრძოლების ხანას „недоразумение“-თ ანუ ქართულად რომ ვთქვათ გაუგებრობათ თვლის, მაგრამ მე ვეცდები დავამტკიცო და გადავშალო ამ ბრძოლების მთლიანი სურათი, რომელიც ქართველ ერის ისტორიაში ერთი უმაღლესი ღირსშესანიშნავი ფურცელთაგანია, რაშიაც დარწმუნდენ თვით ისინიც კი, ვინც ამ ბრძოლების ხანას გაუგებრობათ ნათლავდა.

ჩვენ შევეცდებით აღწერის დროს აღვნიშნოთ ბრძოლის უმთავრესი ეტაპები, სახელდობრ დილით 18 მარტს რო ხდება და საღამოთი 20 მარტს. ამასთანავე აღსანიშნავია 18 მარტის მეორე ნახევარი, ნასადილევი, როდესაც ამ დღის ბრძოლის და მთავრების შემდეგ ბათომში შემოვიდნენ რუსები: ცხენოსნები აჭარის წყალის მხრით, ფეხოსნები ქობულეთის მხრით; და 20 მარტის ბრძოლის შემდეგ—პირველ დღიები საბჭოთა ძალა-უფლებისა საქართველოს უკანასკნელ კუთხეში ლამაზ და მშვენიერ ბათომში.

ხოხო ახლანიშვილი.

---

# თეატრი

## „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“

ეს პიესა ავქსენტი ცაგარლის კალმის პირველი მონასმია.

პიესა რეალურია, ცხოვრების ნაკარნახევი — ნამდვილი ამბავი.

პირველად ეს პიესა ავტორმა მოთხრობის სახით დასწერა, შემდეგ პიესად გადააკეთა და „ტრაგედია“ უწოდა. ახალგაზრდა დრამატურგმა იგრძნო, რომ პიესაში ტრაგიკული არაფერი იყო და ამიტომაც არის რომ დღეს ეს პიესა ჩვეულებრივ კომედიად სახელდება.

პიესა თავის აღნაგობით სუსტია. მაგრამ შიგ იმდენი გონება-მახვილობაა და ზოგიერთს სხარტულ ანაქვს იმდენი შუშტაკი აქვს გადამალული, რომ მაყურებელი ესტეტიურ სიამოვნებას განიცდის და ჯანსაღ სიცილით იტვირთება.

როგორ იყო დადგმული პირველ მაისს ეს პიესა? ჩვენთვის უპირველესად ყოვლისა ეს არის საინტერესო, ვინაიდან ამ პიესის შესახებ, როგორც ვიცით, დიდი მზადება სწარმოებდა, ამისათვის იხატებოდა დეკორაციები, ამ პიესაზე დაიხარჯა აუარებელი ფული თუ ენერგია და ჩვენ უფლება გვაქვს სამაგიეროდ გადაუხადოთ თეატრის მესვეურთ.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ რეჟისორმა ალ. ახმეტელმა ვერ გვაჩვენა თავისი ახალი ხელოვნებისადმი, ვერ გაიგო პიესის ეპოქა, და ის „იმედები“, რომელიც „ბერდო-ზმანიას“ დადგმამ აგვიშალა სიდამონ-ერისთავის დეკორაციებს შერჩა მხოლოდ...

ახალი გეგმით დაიდგმება! განა სკამის გადადგმა ერთი მხრიდან მეორე მხარეს — ახალი გეგმაა?

განა რეალურ პიესას, სადაც ხალხთა ზნე-ხასიათია აწერილი, — ეკადრება შეინდისფერ შირმებში გახვევა?

ცაგარლის პიესა — კლასიკური პიესაა და ამიტომ მას როგორც ასეთს მაკრატელი — არ გამოადგება: პიესაში ზოგი მომქმედი პირი ჩაემატათ. მაგალითად: რა საჭირო იყო — პირველ მოქმედებაში თეძო ამოგდებული გლეხი, იმიტომ რომ თავის ჩოლახოშით გაემხიარულებინა გალიორკა? — (უკანასკნელ წარმოდგენაზე ეს ჩანამატი მომქმედი პირი (და ხეივანი აღარ იყო!),

როცა სამხატვრო თეატრმა გადაწყვიტა, ჰამსუნის „ალსავლის კარებთან“ დადგმა, — გაგზავნა ამის თვის ხელოვანნი ნორვეგიაში, რომ იქაური ფერები და ფსიხოლოგია შეეფარდებინათ პიესისთვის, ჩვენში კი ის ამბავი, რომელიც ასიკო ცაგარელს აქვს აწერილი, მოხდა სოფ. დიღომში, შიოევის მამულში, ტფილისიდან სულ 7 ვერსის მანძილზე და მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მომქმედ პირებში ამწყვდევს ამ აზრს, რეჟისორი არც კი ცდილობს რომ ეს დაკვირვება აახალისოს.

ეს, რომ ყოფილიყო არ იქმნებოდა ზოგიერთი კურიოზი, რომელიც არ ეკადრება „მხატვრულად დადგმულ“ პიესას.

მაგალითად ვინ არ იცის, რომ ქართლში თონე მიწაში ყელამდეა ჩაფლული, კახეთში კი ნახევრად. პიესა სწარმოებს ქართლში, მაშასადამე თონე და ზვარი შესაფერისად უნდა შეეფარდებინათ.

შეიძლება ეს წვრილმანი იყოს, მაგრამ როცა რეჟისორს პრეტენზიები აქვს მხატვრულად დადგმის შესახებ, მაშინ ძალაუნებურად ეს „წვრილმანი“ გეჩხირება თვალში.

ასევე ითქმის ოთახების მოწყობილობაზე (აქ ნასესხი იყო „ოლეუმის“ და „ბერდოს“ დეკორაციები, თუმცა სხვა პლანიროვკით), ჩაცმა და ხურვაზე და სხვა.. არ შეიძლება აგრეთვე არ აღვნიშნოთ ქართულ სცენის ერთი მუდმივი სენი: ჩვენში ბოლო უნდა მოეღოს იმ მახინჯ ცეკვას ზოგიერთი არტისტი ქალი რომ ცეკვავს სოფლურ ყაიდაზე ეხლა გაკვრით მიმქმედ პირებზე.

უკანასკნელად გიტუას თამაშობდა ვ. გამყრელიძე, პირველად კი ს. ყალაბეგიშვილი. ყალაბეგიშვილი თუ სიტყვებს ჰკვეცავდა. გამყრელიძის ზოგიერთი იტყვის სცენაზევე იკარგებოდა. შესახედობით კი ორივე მსახიობი ტიპიური იყო.

ბეჟიკა—ვასო აბაშიძემაც ითამაშა და... ჰიარუტმაც ჰიარუტს ამ როლისთვის ახალგაზრდა ხმა აქვს. უნდოდა გრიმით მაინც ყოფილიყო „უ..ნთხი“, მაგრამ ლოყებზე—გრიმად გაკეთებული „ლოყები“ აუშნოებდა.

კოხტაია კარგი იყო განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში.

მოურავი ძალიან ყეყეჩად იყო დახატული.

ყარაჩოღელები ყველა ყალბები. ერთი რომელიღაც კაკ ნებდა კიდეც: ეს კი „არ კადრის სადილში“ შეიძლება მხოლოდ; აგრეთვე სუფრას წამდაუწუმ ალაგებდნენ. — „შეითანბაზრის ბაჟალიონს“ არ შეეფერება!..

სოფლის გოგოებში აღსანიშნავია ტასო აბაშიძე და განსაკუთრებით კი ცეცა ამირეჯიბი და ასათიანის ასული.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი დადგმა არ არის სასურველი მით უმეტეს, რომ ეხლა სცენას ეწვია ბ-ნი წუწუნავა, რომელსაც ამ პიესის (გაიხსენეთ „სახალხო სახლი“) სული ესმის და ძველი ეპოქა, თავის ყარაჩოღელებით კარგადა აქვს შეგნებული.

ცაგარლის პიესა არც ისეთი ხელწამოსაკრავია.

თუ რუსეთი ამაყობს თავის ოსტროვსკებით, ჩვენი სცენაც ამაყობს ცაგარელის მადლიან ნიჭით, და ზოგიერთი მისი პიესა მოითხოვს მხატვრულ სტილს და ყოველ წვრილმანის პატივისცემას.

სახელით სპეკულიაციას კი უნდა ერიდონ ჩვენი რეჟისორები.

უჟამური.

---

# ახალი ამბები

— **დაკარგული ჯარისკაცი.** ვარლამ კაკაბაძე მსახურობდა მეოთხე ქვეითა ათასეულის შტაბში ძველი მთავრობის დროს. მას შემდეგ, რაც ბათომში დამყარდა საბჭოთა ძალა უფლება, მის შესახებ არაფერი ისმის. თუ ვინმემ რამე იცის, ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგ მისამართით: ხონის რაიონი. ს. კუხის რევკომში.

— **ქართველ ხელოვანთა კრება** დღეს მაისის 6-ს შუადღის 12 საათზედ ხელოვანთა სასახლეში დანიშნულია ქართველ ხელოვანთა საერთო კრება. კრებაზე განსახილველია სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის საორგანიზაციო კონსტიტუცია და მიმდინარე საკითხები. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

— **სახალხო სახლში** ქართულ წარმოდგენებს კვირაში დაეთმო სამი დღე: სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი; რეპერტუარი შესდგება, სოციალურ კლასიკურ პიესებისგან, უპირატესობა ეძლევა ორიგინალურ ნაწარმოებებს. ამჟამად განზრახულია დაიდგას: „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ „მეზობლები „ლაქია“ „მსხვერპლი“ (მეორეთ) „იმედის დაღუპვა“ „ცხოვრების გარეშე“ და „დალალი“. დასში მუშაობის მსურველთ შეუძლიათ მოლაპარაკება აწარმოონ „წრის“ საქმეთა მმართველთან ნ. ჰანქვატაძესთან ყოველ დღე დილის 10 ს. 12 საათამდე და საღამოს 6 ს. 8 ს. მდე.

— **ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბრძანება აპრილის 26 1921 წ.** წინადადება ეძლევათ ქალ. ტფილისის წისქვილების ყველა პატრონებს, მათ რწმუნებულებს, მმართველებს და გამგეებს აღრიცხონ წისქვილები სახალხო მეურნეობის საბჭოს საფქვილე ქვეგანყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3) სამი დღის განმავლობაში, რეგისტრაციის პირველი დღე არის მაისის 3, დილის 9 საათიდან.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის მოადგილე ს. კარტოზია. საქმის მმართველი მადისონი.

— **უფასო სადილები ინვალიდებს.** ქალაქის სოციალურ უზრუნველყოფის კოლეგიამ დაადგინა, მიმართოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს და თან აღნიშნოს, რომ ვინაიდან ქალაქის [illegible] ქალაქის სოციალური უზრუნველყოფის სასადილოებისათვის, ამიტომ ან უნდა დაიხუროს ყველა სასადილოები და ფული დაუბრუნდეთ, ან არა და ეთხოვოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ავანსის გაცემის შესახებ სანოვაგის სასყიდლათ სასადილოებისათვის ბაზარში თავისუფალ ფასებში, და ამ გზით დაკმაყოფილებულ იქნენ საჭიროებით ინვალიდები.

— **სომხეთის მისიაში.** სომხეთის მისიიდან იტყობინებიან, რომ სომხეთის რევკომის მიერ გამოქვეყნებულ დეკრეტის გამო ამნისტიის შესახებ, სრულუფლებიანი წარმომადგენლობამ მიმართა მე-11 საჯარისო განყოფილებას წინადადებით, რათა მიღებულ იქნეს საჩქარო ზომები გამოცხადებულ ამნისტიის განსახორციელებლად თხოვნით, რომ განთავისუფლებულ იქნეს ყველა ის, ვინც დაპატიმრებულ იყო, როგორც პოლიტიკური მოწინააღმდეგე საბჭოთა სომხეთისა, აგრეთვე განთავისუფლებულ იქმნეს ყველა ის სომეხი ოფიცრები, რომლებიც გამოძევებულ იყვნენ სომხეთიდან საქართველოში.

მოსკოვიდან სომხეთის მისიას აცნობებენ, რომ იქ გადაწყვეტილია დაუყონებლივ განთავისუფლებულ და დაბრუნებულ იქნეს სამშობლოში ყველა გაძევებული სომეხი ოფიცრები.

ამ ჟამად სომხეთთან ურთიერთობა საკმაოდ მოწესრიგებულია. რკინის გზით მიმოსვლა ტფილის-ერევანს შორის პირდაპირ სწარმოებს.

— **რკინის გზებზე საქონლის გაცვლა.** ნავთის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სერებრიაკოვსკიმ დეპეშით აცნობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს რკინის გზათა უფროსს მირონოვს: „სტამბოლთან მოსალოდნელ საქონლის მსხვილი გაცვლა-გამოცვლის გამო, გთხოვთ გამოგზავნოთ ყოველ დღე ბაქოს შავ ქალაქში საქონლის განყოფილების ნავთის კომიტეტის სახელზე 20 ცისტერნი სხვა და სხვა ზეთეულისათვის და ათიც დახურული ვაგონი საქონლისათვის.

გადმოეცით ამხ. ლენინის ბრძანებას: „რათაც უნდა დაჯდეს დაიწყეთ საქონლის ფართო გაცვლა ნავთის ნაწარმოებზე ბათომში“. ვთხოვ მირზა დავუდ გუსეინოვს მისცეთ განკარგულება რკინის გზის განუცხადებლივ დატვირთვის და გაგზავნის შესახებ, რათა გაიგზავნოს შემადგენლობა ნავთის კომიტეტის წარმომადგენლის სახელზე ბათომში, აზერბეიჯანის ნავთის კომიტეტის საწყობში, ნომერატურული. სამარშრუტო მატარებლისათვის გთხოვთ დანიშნოთ საჭირო რიცხვი კომუნისტებისა და წითელ ლაშქრელებისა. გთხოვთ გაგზავნოთ საჩქაროდ, რადგანაც სტამბოლში გასაგზავნათ არის თავისუფალი გემები. ნავთის კომიტეტის თავმჯდომარე სერებრიაკოვსკი.

აპრილის 27 მოთხოვნილი ვაგონები გადაეცათ და სამარშრუტო მატარებლები გაიგზავნებიან დაუბრკოლებლივ, რომელსაც თან ახლდება განსაკუთრებული კომენდანტი და ზეინკლები მთელ რაც შემადგენლობის მთლიანობის სამეთვალყურეოდ.

— **ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსის თანაშემწეები.** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსის პოლიტიკურ ნაწილის თანაშემწეებათ ინიშნებიან: ამხ. კეკიძე, რაგიმოვი და ვოხკანიანცი.

— **ტრანსპორტის მუშაკთა კავშირში** გამგეობამ აირჩია განყოფილებათა გამგეები: 1) სატარიფო სანორმო:—ამხ. დეგულოვი, 2) ეკონომიისა—ამხ. ხოჯაევი, 3) კულტურულ განმანათლებლისა—ამხ. კიკნაძე და 4) საორგანიზაციო-საინსტრუქტოროსა—ამხ. ივანიშვილი.

---

# რადიო

**ვაშინგტონი.**

მოსკოვი. აპრილ. 29. ამერიკის მთავრობამ ინგლისის წინადადებაზე, რომ მას ერთი ეთქვა ინგლისის მიერ ამერიკის კუთვნილ ვალების გადახდაზე, განაცხადა, რომ იგი მზად არის განიხილოს ეს საკითხი „ბრიტანეთის“ მთავრობასთან. ამერიკის გაზეთები მოით-

ხოვენ ინგლისის მიერ ვალების სრულიად გადახდას.

**საბჭოთა ელჩი სპარსეთში.**

მოსკოვი. აპრილის 4. საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ჩავიდა სპარსეთის დედა ქალაქ თეირანში.

**ინგლისელებმა სპარსეთი დასტოვეს.**

მოსკოვი. აპრ. 4. ბრიტანეთის ჯარებმა დასტოვეს სპარსეთი.

**ვრანგელთა ალსასრული.**

მოსკოვი. აპრ. 4. ლიონიდან იუწყებიან: ამ ქ მად ურმიაში იმყოფება ვრანგელის ლაშქრის 28,000 ჯარის კაცი, საფრანგეთის მთავრობის ბრძანებით დათხოვნილი. ვრანგელის წარმომადგენელი შუამდგომლობს, რომ ურმიაში შეუშვან კიდევ 25,000 ჯარის კაცი.

**საქონლის გატანა საზღვარ-გარედ.**

მოსკოვი. აპრ. 4. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მიიღო რიგაში გასაგზავნად 2000 წყვილი ფეხსაცმელი, 4,000 ყუთი ასანთი, 150,000 ფ. ნავთი 500,000 არშ. ქსოვილები და სხვა საქონელი.

**მუშათა შურის ძიება.**

მოსკოვი. აპრ. 4 ბარსელონაში მოჰკლეს ისპანიის თეთრი გვარდიის ორგანიზატორი ვიდალ რიბასი.

**რევოლიუციონური მოძრაობა ინგლისში.**

მოსკოვი. აპრ. 4. ინგლისელ რკინისგზელთა კავშირმა, რათა მხარი დაეჭირა გაფიცულ მაღაროში მომუშავეთათვის, თავის წევრებს მიწერილობა გაუგზავნა, რომ უარი ეთქვათ ქვა-ნახშირის გადატანაზე. ინგლისის გზათა მინისტრმა განაცხადა, რომ რკინის გზელთა წინადადება ზომით ფრიად სერიოზულია. მინისტრმა განაცხადა, რომ ძთავრობა ხელმძღვანელობა რკინის გზელთა დადგენილებას. ლონდონის რაიონის და სხვა რიგი ქალაქების რკინის გზელნი თითხოვენ გაფიცვის გამოცხადებას მაღაროში მომუშავეთა მხარის დაჭერით და კავშირის ხელმძღვანელთა ბრალდების გასაძლიერებლად.

**უმუშევრობა ინგლისში.**

მოსკოვი. აპრ. 4. ლონდონიდან იუწყებიან, რომ აპრილის 22-სთვის უმუშევართა რიცხვი ინგლისში აღწევდა ილიონ 770,000 კაცს.

**ინგლისელ რკინის გზელთა დადგენილება.**

მოსკოვი 29-14. რკინის გზელთა აღმასრულებელმა კომიტეტმა განმარტა, რომ ძალიან, რომელიც უკრძალავს კავშირის წევრებს ქვა-ნახშირის გადატანას, შეეხება მხოლოდ იმ ქვა-ნახშირს, რომელიც საჭიროა კომერციულ მიზნებისათვის და არა საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის და შინაურ მეურნეობისათვის. ცნობა, ვითომც ქვანახშირის მადნებში მომუშავენი სამთო კავშირიდან გამოსულიყვნენ, მართალი არ არის.

**უთანხმოება ინგლისსა და საფრანგეთ შორის.**

რიგა. 2—5. (საფრანგეთის კომუნისტური პრესსა უარსაჰყოფს ოფიციალურ გაზეთების ცნობას, ვითომ ბრიანსა და ლოიდ ჯორჯს შორის მომხდარიყოს სრული შეთანხმება. ინგლისის პრემიერმა არამც თუ სულ ახლა განიმეორა, რომ ინგლისის ჯარი მონაწილეობას არ მიიღებს გერმანიის ოკუპაციაში, არამედ უჩვენა აგრეთვე ის მიზეზები, რომელიც აბრკოლებს ამ ოპერაციას. ეს მიზეზები მდგომარეობს უმთავრესათ ზოგიერთ ელემენტთა ოპოზიციაში, ესეთივე ელემენტები, რომელიც მტრულად უცქერიან დამსჯელ რაზმების სისტემას არსებობს აგრეთვე საფრანგეთშიც, მაგრამ ინგლისის პრემიერი უფრო სისწორით აფარებდა მათ, ვინემ მის ფრანგი კოლეგა.

# ლუი ბლანი კომუნის ისტორიაში.

ლუი ბლანის სახელი ისე წავიდა წინ, რომ უცხათ მისი პატივის მცემლებათ და ამხანაგებათ გახდენ ისეთი პირველ ხარისხოვანი საფრანგეთის მწერლები, როგორიც იყო იმ დროს ვიქტორ ჰიუგო, ქორბანდი და ბევრიც სხვანი ასეთნი.

ამ დროს საფრანგეთში დიდი ბრძოლა იყო გამართული, გარს გერმანიის ჯარი ეკრა პარიზს და ამბოხდა და შიგ პარიზში კიდევ გამართული იყო პარტიული ბრძოლა ფრანცუზებისა, ერთმანერთს ებრძოდენ რესპუბლიკანელები, სოციალისტები, დემოკრატები, კომუნისტები, ანარქისტები, იაკობინელები, მონარქისტები და ბევრნიც კიდევ სხვანი.

ამ პარტიების ბრძოლამ და ვაი ვაგლახმა საფრანგეთის ხალხი ცხოვრებისაგან დაღალა, მუშა, ხელოსნები და ბევრნიც სხვანი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ, პურის უქონლობამ და შიმშილმა ბევრი იმსხვერპლა თურმე. ამ დროს, ლუი ბლანს ასეთების სიბრალულით გული უტიროდა, ლუი ბლანი ვიქტორ ჰიუგოს მოელაპარაკა, ამათ ისურვეს მშიერ და გაჭირვებულთა სასარგებლოთ კონცერტის გამართვა.

შეუდგნენ ამის მოწყობას, გამოაცხადეს კონცერტი, ქუჩებში გააკრეს აფიშები და კონცერტის მეთაურთ პირთა მორის მოხსენებული იყო ლუი ბლანის სახელიც, ვიქტორ ჰიუგოს გვერდით. ფრანგის კომუნისტები ამისაგან განრისხებულნი ამბობდნენ ეს რას ნიშნავს, ლუი ბლანი კომუნისტებს ღალატობს, იგი ვის შეერთებია და სად და რა წრეში ჩარეულაო,

კომუნისტები ამბობდნენ, მართალია ლუი ბლანის გვერდით ვიქტორ ჰიუგოს სახელიც არის მოხსენებულიო, მაგრამ ჩვენ ამასთან საქმე არა გვაქვსო. იგი მართალია „საფრანგეთის ერის საყვარელი მგოსანი არისო და მასთან იგი ბურჟუა გახლავსთ და ამიტომ მას ამის შესახებ პასუხს ვერ მოვსთხოვთო, მაგრამ ლუი ბლანს კი უნდა ვკითხოთ საქმის გარემოება და პასუხი უნდა მოვსთხოვოთო.

ასე დაასკვნეს კომუნისტებმა და შეუდგნენ ამის შესრულების სამზადისსაც. მოხდა სადამოს გაიოსვლაც. სადამოს დიდი შემოსავალი აქვნდა, რაც კი ხარჯს გარდა გადარჩა, ყველა ის ღარიბებს გარდაეცათ და დაურიგდათ.

მეორე დღეს კომუნისტებმა მიმართეს ლუი ბლანს და ჰკითხეს მიზეზი მისი სხვა პარტიათა წევრებთან მიკედლების. ლუი ბლანმა პასუხი მისცა და მასთანავე დროც დაუნიშნა პასუხის მიცემის დანიშნული დროს; კომუნისტები ერთ ალაგას მოგროვდენ აქ ამათ წინ წარსდგა ლუი ბლანი და მოახსენა თავისი მიზეზები თუ იგი რათ გავიდა კომუნისტების პარტიიდამ და რათ მიეკედლა სხვა პარტიებს და უფრო კი რესპუბლიკანელებს.

ლუი ბლანმა დაუხატა საფრანგეთის გაჭირვებული მდგომარეობა, ფრანცუზების პარტიათა ურთიერთშორის ბრძოლა, საიდამაც კარგი არასფერი გამოდის, ამ დროს, საფრანგეთს მტერი გარს აკრავს და საფრანგეთში კიდევ გაძლიერებულია პარტიათა ბრძოლა. აქ ფრანცუზების ყველა პარტიათა წევრები ერთნაირს გაჭირვებაში ვართ. გერმანელი ჩვენ ყველას ერთნაირათ გვსპობს, ჩვენ ვიღუპებით და ერთი მეორეს ვეხლებით, ამიტომ დღეს ჩვენი პარტიების დრო აღარ არის,

ლუი ბლანს ასეთის აზრიანის სიტყვისთვის ბევრი კომუნისტი დაეთანხმა, ბევრი კი წინააღმდეგი იყო, კომუნისტმა ცნობილმა ბლანკმა ლუი ბლანს ტაში დაუკრა, ასევე სხვაც ნასწავლ კომუნისტებმა, მუშათა კლასიდან კომუნისტები კი ამის წინააღმდეგნი გახდენ. ამავ დღეს მეორეთ მიმართა ლუი ბლანმა ასეთს წინააღმდეგს მუშებს და ასეთი სიტყვა და დარიგება მისცა:

გარედამ საფრანგეთს ებრძვის გერმანიის იმპერია, იმ საფრანგეთში კიდევ ჩვენ ვიბრძვით, ჩვენ პარტიები ვებრძვით ერთმანეთს შეუძლებლად, მიზანი ჩვენი ბრძოლის უაზრო არის. ჩვენა ვალია, რომ დამხობილ იქმნეს საფრანგეთის იმპერია და განთავისუფლებულ იქმნეს საფრანგეთი იმპერიალისტების ბატონობისაგან, ჩვენ კი ამის ნაცვლათ, პარტიები ერთმანეთს ვებრძვით და ცხადია, რომ აქ ისევ იმპერიალისტები გაიმარჯვებენ ჩვენის შეცდომებით.

მე შეუერთდი რესპუბლიკანტებს და თქვენც გირჩევთ, რომ დაშალოთ კომუნისტური პარტია და შეუერთდეთ რესპუბლიკანელებს, რომ ეგები ჩვენის შეერთებულის ძალით კარში გერმანეთის იმპერიის ჯარი დავამარცხოთ, ჩვენი დაუძინებელი მტრის ჯარი და რომ საფრანგეთში კიდევ დამხობილ იქმნეს ნაპალეონ იმპერატორის ჯარი და დაცემულ იქმნენ მისი მომხრე მონარქისტები, იეზუიტები და ბევრნიც სხვანი ნაპალეონის ტახტის მომხრენი, თორემ საქმე წაგვიხდება.

ცალკ ცალკე ბრძოლით ჩვენ ყველანი დაცემობით, გარედამ გერმანიის იმპერატორი შეგვჭამს და შიგ საფრანგეთში ჩვენ კიდევ ნაპოლეონ იმპერატორს დაგვისმენ ტახტზედ. ამიტომ ვითხოვ საქმის დაკვირვებას და ყველა კომუნისტების რესპუბლიკური პარტიასთან დაკავშირებას, ამ პარტიის გაძლიერებას, რათა საფრანგეთში დაარსებულ იქმნეს იმპერიის მაგიერ ძლიერი რესპუბლიკური მთავრობა საფრანგეთის ერისა.

ასეთის კილოთი ელაპარაკებოდა კომუნისტებს ლუი ბლანი, ყველაფერს ხათლად არკვევდა, მაგრამ კომუნისტების უმეტესი ნაწილი ამის წინააღმდეგი იყო, ამიტომ ლუი ბლანმა კომუნისტებს სთხოვა კიდევ ერთი სიტყვის წარმოთქმის დრო და ნების მიცემა. კომუნისტებმაც დართეს ნება ამის, ამავ დღეს სადამოს კომუნისტები შეიყარნენ ერთ ალაგას, აქ ამათ წინაშე წარსდგა ლუი ბლანი და უთხრა ასეთი შინაარსის სიტყვა:

რადგანაც თქვენ არ კისრულობთ რესპუბლიკანელებთან შეერთებას და გინდათ ბრძოლა და განხეთქილება, ამიტომ გეტყვით შემდეგს ახსნას კიდევ, რაც ისტორიულადაც დასაბუთებულია.

მონარქიიდან, ანუ იმპერიიდან კომუნაზედ გადასვლა ყოვლად შეუძლებელია და უქნარი, ამისი მსგავსი ისტორიაშიაც არასფერი არ მომხდარა. ყოვლად შეუძლებელია ეს, ამიტომ გირჩევთ თქვენ დაფიქრებას, კაცი სამს ორმოს თხრილს ერთათ ვერ გადაახტება ზედ ნელა-ნელა უნდა განვლოს კაცმა ყველა თხრილებით, თორემ უცბათ არაფერი იქმნება და კაცი ფეხს მოიტეხს, შიგ ჩავარდება, ჩვენც ასე მოგვივა. ჩვენ ჯერ უნდა გადავიდეთ დემოკრატიულ რესპუბლიკაზედ და ამის შემდეგით რაკი ხალხში მოხდება ხალხის საერთო განათლება, მაშინ ხალხი მოემზადება რევოლიურათ და მხოლოდ მის შემდეგ შეიძლება, რომ ხალხი დემოკრატიულის რესპუბლიკიდამ გადავიდეს კომუნაზედ უამისოთ არ შეიძლება, ეს უსათუოდ ასე უნდა მოხდეს.

კომუნისტები მაინც ლუიბლანის წინაღმდეგნი იყვნენ, ამის შემდეგ ლუიბლანი გადავიდა რესპუბლიკანების წრეში და იმ დროს, როცა კომუნისტებს დარიგებას აძლევდა და ელაპარაკებოდა, ამავე დროს ლუიბლანი რესპუბლიკის პარლამენტში იჯდა, და კომუნისტების დახვრეტის გადაწყვეტილებასაც ხელს აწერდა.

თუმცა ლუიბლანი კომუნისტების სასჯელის მომხრე იყო, მაგრამ მაინც იგი ამის შესახებ დიდათ სწუხდა და ყველასფერს სიკეთეს და კომუნისტების სიმაგრეს პირდაპირ მათს გაუგებრობას და უსწავლელობას აწერდა.

ლუიბლანს მაინც კომუნელთა დახვრეტის ნაღველი გულიდამ არას დროს არ მოშორებია და 1872 წ. ლუიბლანი დიდის სიამოვნებით შეხვდა იმ გარემოებას, რომ განათლებულმა ევროპიელებმა იხურვეს კომუნელთა სამახსოვროთ, მათი დასჯის დღის მოგონება და დღესასწაული 18 აპრილის.

ზ. ქ.

# ნარკომზემის პროფკავშირის გამგეობის სხდომის 1921 წ. 21 აპრილის დადგენილება

ვინაიდან საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტის ძალით სახალხო ენათ გამოცხადებულია ქართული ენა და ევრძანა ს. ს. რ. ყველა დაწესებულებებს და წარმოებათ სრული გაეროვნება და ვინაიდან ამას მოითხოვს სამშობლოს ინტერესი თავის მშრომელ მასასთან ერთად, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვით მთავრობის წევრები არღვევენ ამას, რადგან თვით კოლეგიაშიც და ზოგიერთ განყოფილებაშიაც არა სახელმწიფო ენაზედ მიმდინარეობს საქმის წარმოება, მოეთხოვოს კოლეგიას, ჩვენი წარმომადგენელის საშუალებით მიიღონ ყოველგვარი ზომები სრულ გაეროვნების საქმეზე. ოქმები და დადგენილებები კოლეგიის თუ სხვა განყოფილებების სხდომებისა უნდა წარმოებულ იქნას ქართულ ენაზე, რათა ასეთი გზით პატივი ვსცეთ ჩვენი მთავრობის დადგენილებას და არ დარჩეს მათი დეკრეტები ჰაერში ჩამოკიდებული, ან შეურაცყოფილი, მით უმეტეს როცა ეს დეკრეტები შეადგენენ ქართველი მშრომელი კლასის სანუკვარ საგანს.

ნარკომზემის პროფკავშირის გამგეობა.

# გ. ახოსპირელის დაკრძალვა

ხუთშაბათს, აპრილის 28-ს დაკრძალეს ნიჭიერი პოეტი და ქართული თეატრის დამსახურებული მოკარნახე გიგლარ ახოსპირელი.

დილის 10 საათზე საკუთარი სახლიდან გამოასვენეს არტისტებმა და პოეტებმა. წირვა იყო ქამოვისეულ ეკლესიაში.

დაკრძალულ იქმნა ვერის სასაფლაოზე.

არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ქართველ საზოგადოებას გულგრილობა: კუბოს საფლავამდე სულ რაღაც ოციოდე კაცი მისდევდა. შეიძლება ამაში დანაშავე იყვეს თვით დამკრძალავი კომიტეტი რომელმაც თავის დროზე არ გამოაცხადა გაზეთში და დაკრძალვაც დაიჩქარეს.

საჭიროა ეხლა მაინც ვიზრუნოთ პოეტის ობლებისთვის და რითიმე აღვნიშნოთ საბრალო ბეგლარის ხსოვნა, რომელსაც, როგორც პოეტს და სუფლიორს ცხოვრებაშიც აქონდა, „საფლავი ბნელი და ცივი".

აქვე ვბეჭდავ მუშა პოეტის გ. შანაძის ლექსს, რომელიც ახოსპირელის საფლავზე წარმოსთქვა თვით ავტორმა.

აკი იყავი მებრძოლი,
მხნე და გამრჯელი დიადი,
ეტრფოდი დღისა ნათელსა,
გძულდა სიბნელე-წყვდიადი.
არწივის ფრთებსა ისხავდი,
ჰფრინავდი ქარიშხალობდი,
სადაც კი ფეხსა დასდგამდი,
ყველგან მზეობდი, დარობდი.
ვერ გერეოდა ვერამი,
ცრემლებშიაც კი ხარობდი,
ქედ-მოუხრელად, ამაყად,
მარადის ამირბარობდი!
წარბს ვერ გიხრიდა ვერას დროს
ტანჯვა, ვაება, წუხილი,
და ვერც მოგისხნა ბუნების
გლოვა ქება და კუხილი!
გრძნეულ სიკვდილმა კი გძლია:
დაგიპყრო, მოგცა ზიანი,
მოგწყვიტა ოჯახს, წვრილშვილსა,
დღე დაგიბნელა მზიანი!
გულს მიქენჯნიდა, მტანჯავდა,
მშრომელი ხალხის წყლულები.
მათთვის კვნესოდი, სტიროდი.
გიყვარდა დაჩაგრულები
მიტომაც ცრემლებს გაფრქვევენ
კუბოზედ შრომის შვილები,
თავის უფლების დროშის ქვეშ
გამოცდილ, გამოზრდილები!

# რევოლიუციის სასამართლო

პროლეტარიატის დიქტატურის დროს რევოლიუციის სასამართლო უმაღლესი გამომსახველი უნდა იყოს ხალხის სინიდისის და სიფაქიზის. უნებლიეთი შეცდომები, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ყოველგვარ სამჯავროში, მაგრამ დაუდევრობა, ტენდენცია და სიკერძოება, მაშინ როდესაც საქმე შეეხება სამართალს და ადამიანის ბედის გადაწყვეტას ყოვლად დაუშვებელია. უდანაშაულო არ უნდა დაისაჯოს და დამნაშავე არ უნდა განთავისუფლდეს—აი ლოზუნგი რევოლიუციონური სამსჯავროსი.

გვინდა შევეხოთ ერთს შეცდომას, რომელსაც ახლობელ წარსულში ადგილი ქონდა. სამი თვის წინად, სპარსეთში დაატუსაღეს მხედარი სიმონ ფხაკაძე, რომელსაც სხვათა შორის ბრალსს სდებდენ სახიჯის აჯანყების დროს, აჯანყებულთა დახვრეტაში, მრავალი სოფლების დაწვაში და სხვა. ფხაკაძის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, მაგრამ რევოლიუციონური სასამართლო არ დაემორჩილა ბრალდებებს, გამოარკვია საქმე. ბრალდებული ოქმს, და იგი გაამართლეს. [illegible] სამი თვის განმავლობაში „ორთაჭალის ციხეში" [illegible] უსაზღვრო დამცირება და განადგურება?

გამოირკვა თუ არა სასამართლოში, რომ ბრალდებანი ფხაკაძის წინააღმდეგ აგებულნი იყვნენ ყოვლად უსინიდისოდ პირად მტრობის ნიადაგზე? თუ ეს გამოირკვა, არის თუ არა მიღებული ზომები, რომ დამნაშავე დაისაჯოს. დანაშავე, რომელიც სახელს უტეხს რევოლიუციას, პროლეტარიატს და მის სათავეში მდგომ პარტიას? საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტი ფრთხილად უნდა მოეკიდოს თავის ავტორიტეტს, სინდისიერობას და დაუყოვნებლივ უნდა გაამევოს თავის წრიდან ის წევრები, რომელნიც ნებით თუ უნებლიეთ მას სახელს უტეხენ ხალხის წინაშე.

ეს ერთი შემთხვევა იყო და ჩვენ ვშიშობთ, რომ ასეთი შემთხვევები გამრავლდეს.

არიელი.

# „რევოლიუციის ხუმარები"

გაზეთ „კომუნისტის" № 46 ... სეიულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ კავშირის ყოფილ თავმჯდომარის ანტონ ასათიანის განცხადება რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრათ თავს აღარ ვსთვლი რადგან სავსებით ვიზიარებ ს. კომუნისტურ პარტიის პლატფორმას". ჰკითხულობთ განცხადებას და უნებლიეთ ეკითხებით თავის თავს: ნუ თუ შეიძლება ასე უპრინციპობა? როდის იყო მართალი ასათიანი? მაშინ, როდესაც, როგორც სოციალისტ-ფედერალისტი სტუდენტების და მასთან კ-ა-მ-ი-ის თავმჯდომარე წოდებდა სტუდენტობას ჯარში ჩაწერილიყვნენ და საქართველოს საზღვრებს შემოჭრილი მტერი თავის მიწაწყლიდან გაედევნათ, თუ დღეს, როდესაც აღარ იზიარებს სოც.-ფედ. პლატფორმას... სოც.-ფედერალისტებმა დაჰკარგეს მის თვალში ... იდეები, იგი ახეაებს მათ თავს და ... დის კომუნისტებთან. გზა ... ასათიანო! მაგრამ როდის მოხდა თქვენ აზროვნებაში ასეთი ტრანსფორმაცია?

სიმართლის აღსადგენათ უნდა გაცხადოთ შემდეგი: ა. ასათიანი (და ... სახ ერთად ქ. ბუხნიძე) ... გასულა პარტიიდან არამედ იგი ... ორგანიზაციიდან ახალგაზრდა სოც. ფედ. კავშირის გამგეობიდან..

შემდეგ ეს დაიგენ ლება ... სოც. ფედერალისტ სტუდენტთა ... ზოგადო კრებამ.

ამ რიგათ პარტიიდან შეუფერებელ ... საქციელისთვის გაძევებული იგი ... ად უცერემონიოთ გადადის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. რას ჰფიქრობდა „კომუნისტი", როდესაც ... სიახის განცხადების ბეჭდავდა, რატომ არ ჰკითხა მაინც თუ სად ... იყო მისი მოულოდნელი აზროვნება? ნუ ... ასე ადვილი საქმეა გაკომუნისტება ... „ ... რომ იმავე დროს ... ლი არ იყოს."

ახალგაზრდა სოც.-ფედ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ხ-ძე.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი ცენტ. კომიტეტი.

**დაჰკარგე** საფული 15000 მ. ... ... და პასპორტი ... ჯანაშვილის სახლობაზე 156 ნომ...

**დაჰკარგე** სახელმწიფო უნივერსიტეტის ... ორიენტ ფაკულტეტის სტუდენტმა ... ვან მინას ძე კარუხნიშვილმა. ... რომელიც ჩაითვალოს გაუქმებულ...

**დაჰკარგე** სახელმწიფო უნივერსიტეტის სამე... ცია წიგნაკი (მატრიკული) ... ლო ფაკულტეტის სტუდენტმა ... კურსის ზინაიდა ლომთათიძემ.